ემ ბი სი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მიკრო ბიზნეს კაპიტალი

2018

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

გენერალური დირექტორის მიმართვა 1

მფლობელები/სამეთვალყურეო საბჭო 1

საკრედიტო მიმართულების საქმიანობის შედეგები 2

ინფორმაცია კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ 3

რეგულაციებთან შესაბამისობა 3

სოციალური პასუხისმგებლობა 4

რისკების მენეჯმენტი 6

მიზნები და ამოცანები 7

გენერალური დირექტორის მიმართვა

2018 წელი მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იყო მიკროსაფინანსო ბაზრისათვის. 2017 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, გაგრძელდა 2018 წელს მიკროსაფინანსო ბაზრის რეგულაციების გამკაცრებით - სავალდებულო გახდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება, კაპიტალის და ლივკიდობის ფინანსური კოეფიციენტების დაცვა. მისო „მიკრო ბიზნეს კაპიტამა“ („ემ ბი სი“) დროულად განახორციელა როგორც პროდუქტების, ასევე რისკების მართვის სისტემების ადაპტაცია და 2018 წელი წარმატებით დაასრულა.

2018 წელს დაინერგა ახალი პროდუქტები, გაუმჯობესდა კონტროლის მექანიზმები და ამაღლდა სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი. „ემ ბი სი“-ის გუნდმა მოახერხა განვითარების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება და შეძლო დასახული მიზნების მიღწევა. კერძოდ, 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, აქტივები 41%-ით, ხოლო წმინდა საკრედიტო პორტფელი კი 44%-ით გაიზარდა. კომპანიის წმინდა მოგებამ 946 ათასი ლარი შეადგინა. 2018 წლის მონაცემებით მთლიანი საკრედიტო პორტფელი 49,172 ათას ლარს, აქტიური მსესხებლების რაოდენობა 4,525-ს, ხოლო 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული სესხები ხვედრითი წილი მთლიან პორტფელში PAR(>30) 2.7%-ს შეადგენდა.
სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო დაიხვეწა ორგანიზაციული სტრუქტურა, გაფართოვდა და განვითარდა სერვის ცენტრების რეგიონალური ქსელი. გასულ წელს გაიხსნა ორი ახალი სერვის ცენტრი სამეგრელოში და კახეთში. 2018 წლის ბოლოს „ემ ბი სი“ თერთმეტი სერვის ცენტრით იყო წარმოდგენილი საქართველოს მასშტაბით, ხოლო მისი გუნდი 169 პროფესიონალისაგან შედგებოდა.
2018 წელს „ემ ბი სი“-ის გუნდმა წარმატებით გადაჭრა არსებული ამოცანები და დაისახა ახალი გეგმები. რაც შეუძლებელი იქნებოდა გუნდის მაღალი კომპეტენციის, კორპორატიული კულტურისა და სწორი ფასეულობების გარეშე. მომავალში ჩვენი მუშაობა კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კომპანიის აქციონერებისა და მენეჯმენტის დიდი პოტენციალი მომავალშიც მიმართული იქნება მუდმივი განვითარებისაკენ, მომხმარებლისთვის მეტი სიახლის შეთავაზებისაკენ და ფინანსურ ბაზარზე პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებისკენ.
კომპანიის მისიაა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით ხელი შევუწყოთ ფინანსურ მომსახურებაზე ნაკლები წვდომის მქონე ადამიანების ინტეგრაციას ეკონომიკაში, შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები, წვლილი შევიტანოთ სიღარიბესა და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მფლობელები/სამეთვალყურეოსაბჭო

კომპანიას სრულად ფლობენ ქართველი აქციონერები, რომელთაც აერთიანებთ ბიზნეს და საფინანსო სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება. არ არსებობს კომპანიის საბოლოო ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე.
2018 წლის მიწურულს, საჯარო სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით, სამეთვალყურეო

საბჭო დატოვა ერთ-ერთმა დამოუკიდებელმა წევრმა. ახალი წევრის არჩევა იგეგმება აქციონერთა მორიგ კრებაზე, რომელიც 2019 წლის ზაფხულში შედგება. სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად აკონტროლებს „ემ ბი სი“-ის მმართველ გუნდს და ეხმარება სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავებაში.

„ემ ბი სი“-ის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს დირექტორატი, რომელიც შედგება: გენერალური დირექტორისგან, საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორისგან, ფინანსური დეპარტამენტის დირექტორისგან, საოპერაციო დეპარტამენტის დირექტორისგან და რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორისგან.

საკრედიტო მიმართულების საქმიანობის შედეგები

“ემ ბი სი” სრულად იზიარებს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს. კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს შინამეურნეობების დაკრედიტების ხელმისაწვდომობა როგორც (აგრო) ბიზნესის, ასევე სამომხმარებლო მიმართულებით.

2018 წლის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა სასესხო პროდუქტების, დაკრედიტების სტანდარტებისა და პროცესების ადაპტაცია ეროვნული ბანკის ახალ რეგულაციებთან. განხორციელდა სასესხო პროდუქტებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიკაცია.

2018 წელს კომპანიამ განაგრძო რეგიონალური სერვის ცენტრების ქსელის განვითარება და დაიწყო აგრო სექტორის დაკრედიტების გზით მისთვის ახალ ბაზრებზე შეღწევა. ამ მიზნით, კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი - აგრო სესხი და შეიმუშავა ტექნოლოგიური ბარათები, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას შეისწავლოს აგრო სექტორში დასაქმებული მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და ადეკვატურად შეაფასოს მისი გადახდისუნარიანობა. ტექნოლოგიური ბარათები მოიცავს საქართველოში გავრცელებული კულტურების 40-მდე სახეობას, როგორიც არის მრავალწლიანი და მარცვლეული კულტურები, ბოლქვიანები, ბაღჩეული და მწვანილები, აგრეთვე მეცხოველეობას, მეფრინველეობასა და მეთევზეობას.

2018 წელს, მთლიანი საკრედიტო პორტფელი 14,758 ათასი ლარით, 43%-ით გაიზარდა:



აღსანიშნავია, რომ საკრედიტო პორტფელის 52%-ს ბიზნეს და აგრო სესხები შეადგენს. აგრო და ბიზნეს დაკრედიტება კომპანიის გრძელვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს. მენეჯმენტის აზრით, სწორედ ბიზნეს დაკრედიტების გზით არის შესაძლებელია მსესხებლის შემოსავლების ზრდა, ჭარბვალიანობის თავიდან აცილება და გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

ინფორმაცია კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ

2018 წელს აქტივების მნიშვნელოვან ზრდას ხელი შეუწყო კაპიტალში და ვალდებულებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა. წინა წელთან შედარებით მთლიანი ვალდებულებები 6,628 ათასი ლარით (20%-ით) გაიზარდა, რაც ძირითადად განაპირობა ქართული კომერციული ბანკებიდან მოზიდული სახსრების ზრდამ. „ემ ბი სი“-იმ 2018 წელი 4 ქართული კომერციული ბანკისგან მოზიდული 23,230 ათასი ლარით დაასრულა. კომპანიის განვითარების გეგმები ითვალისწინებს ფინანსური სახსრების ძირითადი ნაწილის მოზიდვას ქართული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან.

კაპიტალი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 8,965 ათასი ლარით გაიზარდა, რაც, ერთის მხრივ, განპირობებული იყო 1,531 ათასი ლარის გაუნაწილებელი მოგების აკუმულირებით, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებით საწესდებო კაპიტალში. 2018 წლის მიწურულს კომპანიამ გამოუშვა 2,800 ცალი პრივილეგირებული აქცია, თითოეულის ნომინალური ღირებულება არის 1 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ჯამური ღირებულება 7,347 ათასი ლარი. აგრეთვე, 2018 წელს, აქციონერების მიერ მოხდა 29,600 ცალი ჩვეულებრივი აქციის შეძენა, რის შედეგადაც, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 30 ათასი, ხოლო საემისიო კაპიტალი, 57 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილების შედეგად, მთლიან კაპიტალს დამატებული მეორე რიგის კაპიტალი, სუბორდინირებული სესხების სახით, რომელიც 3,913 ათას ლარს შეადგენს, 2018 წლის ბოლოს 18,582 ათასი ლარის საზედამხედველო კაპიტალი იყო. 2018 წლის ბოლოს, მთლიანი ვალი შეფარდებული საზედამხედველო კაპიტალთან ნაკლები იყო 1.9-ზე. ზემოაღნიშნული ცვლილებები, კომპანიას საშუალებას აძლევს მოიზიდოს დამატებითი ვალდებულებები და მნიშვნელოვნად გაზარდოს მთლიანი აქტივები.

რეგულაციებთან შესაბამისობა

აქციონერთა ჯგუფის დახმარებით, 2018 წელს კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდა როგორც კაპიტალის, აგრეთვე ლიკვიდობის კოეფიციენტები. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს კომპანიის შესაბამისობას ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ფინანსურ კოეფიციენტებთან.

ახალი რეგულაციებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, გარდა დაგირავებული აქტივების კოეფიციენტისა, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიამ ეროვნული ბანკისაგან მიიღო თანხმობა, რომ აღნიშნული კოეფიციენტი რეგულაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდეს ეტაპობრივად, 2020 წლის 30 ივნისამდე.

დასახელება **	ზღვარი	მაჩვენებელი
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	16%	34.1%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	16%	16.5%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი	40%	13.1%
ინვესტიციების კოეფიციენტი	15%	0.0%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	15%	0.0%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი	90%	205.8%

*** აღნიშნული ცხრილი მომზადებულია ეროვნულ ბანკში გაგზავნილი ანგარიშგების მიხედვით და არ არის დათვლილი IFRS ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ციფრების მიხედვით.*

სოციალური პასუხისმგებლობა

"ემ ბი სი" თანამედროვე, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია მიკრო და მცირე მეწარმეების, ფერმერებისთვის მათზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების შეთავაზება, ფინანსური სახსრების და სასესხო პროდუქტების მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა,გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობა მომხმარებლებთან. "ემ ბი სი" როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

"ემ ბი სი"-ისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის მოდელთან ინტეგრირებული კორპორაციის თვითრეგულირების ფორმას წარმოადგენს და ასახულია კომპანიის ძირითად ღირებულებებში:

- *გამჭვირვალობა*
- *პასუხისმგებლობა*
- *პარტნიორობა*
- *ეთიკური კორპორაციული მართვა*
- *ინოვაცია*

გაერო როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი გლობალური ეკონომიკის შექმნას, გლობალური შეთანხმების ფარგლებში 10 პრინციპს გვთავაზობს და ჩვენ როგორც შეთანხმების მონაწილე კომპანია, აღნიშნულ პრინციპებს ჩვენი სტრატეგიისა და ყოველდღიური საქმიანობის ნაწილად ვაქცევთ. ეს პრინციპები 4 კომპონენტად ერთიანდება და მოიცავს: ადამიანის უფლებებს, შრომის უფლებებს, გარემოს დაცვას და კორუფციასთან ბრძოლას.

„ემ ბი სი"-ის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- *გარემოს დაცვა*
- *ქალთა გაძლიერება*
- *ფინანსური განათლების მხარდაჭერა*
- *შრომითი უფლებები*
- *ახალგაზრდების მხარდაჭერა*
- *გამჭვირვალობა და ბიზნეს ეთიკა*

“ემ ბი სი” არის გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის წევრი, CSR კლუბის წევრი, UN Women-გაეროს ქალთა ორგანიზაციის წევრი და ახორციელებს პროექტებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის. “ემ ბი სი”-ის თანამშრომლები, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ატარებენ ტრენინგებს მოწყვლადი ადგილობრივი მოსახლეობის და იძულებით გადაადგილებული პირების ეკონომიკური ჩართულობის გაზრდის და მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის, რომელიც ხორციელდება EPIC პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით. 2018 წლიდან "ემ ბი სი" საქართველოს პრო ბონო ქსელის წევრია და კომპანიის პროფესიული რესურსები აქტიურად არის მიმართული საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად. “ემ ბი სი”-ის თანამშრომლები აბსოლუტურად უსასყიდლოდ უწევენ მაღალკვალიფიციურ პროფესიულ მომსახურებას შესაბამისი საჭიროების მქონე სამოქალაქო ორგანიზაციებსა თუ მოქალაქეებს.

2017 წლის ივნისიდან, "ემ ბი სი" Smart Campaign-ს - მიკროსაფინანსო სექტორში მომხმარებელთა დაცვის ყველაზე ფართომასშტაბიან საერთაშორისო კამპანიას შეუერთდა. Smart Campaign გლობალურ პლატფორმას წარმოადგენს და მსოფლიო მასშტაბით, 4,700-ზე მეტ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, ასოციაციას, ინვესტორსა თუ დონორს ერთი მიზნის გარშემო აერთიანებს. 2008 წელს ჩამოყალიბებული კამპანიის უმთავრესი დანიშნულება მომხმარებლისთვის - როგორც ინდუსტრიის მთავარი მამოძრავებელი ძალისთვის - გამჭვირვალე, ღირსეული და გონივრული ფინანსური მომსახურების შეთავაზება გახლავთ. Smart Campaign-ის პრინციპების დაცვა, "მიკრო ბიზნეს კაპიტალს" პასუხისმგებლობიანი საბანკო დაფინანსების - ღირსეული და გონივრული ფინანსური მრჩევლის მოდელად აქცევს.

კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს გარემოს დაცვა წარმოადგენს. „ემ ბი სი“-ის თანამშრომლები მაქსიმალურად უფრთხილდებიან ბუნებრივ რესურსებს. სერვის ცენტრებში ხორციელდება ქაღალდის ნარჩენების შეგროვება და ხელმეორედ გადამუშავების მიზნით შესაბამის პუნქტებში ჩაბარება. კომპანიის თანამშრომლები ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და გამწვანების აქციებში, ასევე დედამიწის დღესთან დაკავშრებით კომპანია შეუერთდა კამპანიას # უთხარიარაპლასტმასს და კამპანიის ფარგლებში, "ემ ბი სი“-იმ საზოგადოებრივ სივრცეებში პლასტმასი ქაღალდის ჯანმრთელი ჭიქებით ჩაანაცვლა. ასევე, ქაღალდის ჭიქები განთავსდა კომპანიის სერვის ცენტრებშიც. დედამიწის დღე ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელსაც მსოფლიო თითქმის 50 წელია აღნიშნავს.

უკვე მეოთხე წელია „ემ ბი სი“ მონაწილეობას იღებს „WINGS FOR LIFE WORLD RUN“ საქველმოქმედო მარათონში, რომლის მიზანს ზურგის ტვინის დაზიანებათა კვლევა და მკურნალობა წარმოადგენს.

დაარსების დღიდან „ემ ბი სი“ აქტიურად თანამშრომლობს სათნოების სახლ „კათარზისთან“ და წელიწადში რამდენჯერმე აფინანსებს უფასო სადილებს სოციალურად გაჭირვებული ხანდაზმულებისთვის.

"ემ ბი სი"-ის მომხმარებელი ყოველთვის სრულად არის ინფორმირებული ხელშეკრულების/შეთანხმების პირობებსა და ვადებზე. ორგანიზაციის თანამშრომლების მხრიდან კლიენტებისადმი დამოკიდებულება ეფუძნება პროფესიული ეთიკის მაღალ სტანდარტებსა და მორალურ ღირებულებებს.

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას და დაცვას, უზრუნველყოფს მათი განვითარების ხელშემწყობი და წამახალისებელი გარემოს შექმნას.

რისკების მენეჯმენტი

საკრედიტო პორტფელის ხარისხი

მიუხედავად გარემოს მნიშვნელოვანი ცვალებადობისა, კომპანია ინარჩუნებს სწრაფი ზრდის ტემპს პორტფელის მაღალი ხარისხის პირობებში. რისკების პარამეტრების თავლაზრისით

„ემ ბი სი“ ერთ-ერთი საუკეთესოა თავის სექტორში. 2018 წლის ბოლოს PAR>30-მა 2.7%, ხოლო სესხების დანაკარგების რეზერვმა მთლიან საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში 1.7% შეადგინა. ჯანსაღი და სტაბილური პორტფელის შექმნის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს გაწონასწორებული საკრედიტო პოლიტიკა, ძლიერი შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკების დივერსიფიკაცია და გუნდის სწორი მოტივაცია.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრიორიტეტს წარმოადგენს რისკების ადეკვატური მართვა, რასაც მენეჯმენტი დიდ ყურადღებას უთმობს.

კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკის ტიპები: საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდობის, საოპერაციო, სამართლებრივი და რეპუტაციული რისკები. დასახული მიზნების მისაღწევად 2016 წელს ორგანიზაციაში შეიქმნა რისკების მართვის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ კურირებს საკრედიტო, საოპერაციო და საბაზრო რისკების მართვას, ხოლო ლიკვიდობის რისკებს მართვას კურირებს ფინანსების დეპარტამენტი.

კომპანიიის რისკ აპეტიტი და რისკების მართვის მიდგომები განსაზღვრულია რისკების მართვის პოლიტიკით, რომლის მიხედვითაც ხდება რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი, მართვა, შესაბამისი ლიმიტების დაწესება, მათი მუდმივ მონიტორინგი და კონტროლი. პოლიტიკის გადახედვა ხდება რეგულარულად ბაზარზე არსებული პირობების გათვალისწინებით.

რისკების დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკის შემარბილებელი ღონისძიებების

განსაზღვრას და განსაზღვრული რისკის პარამეტრებში კომპანიის ოპერირების მონიტორინგს. გარე და შიდა რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე ხდება პროცედურების შემუშავება რისკების შემცირების მიზნით.

დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილია და ვითარდება შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკების მართვა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- *რისკების გამჭვირვალედ მართვა სანდოობის მოსაპოვებლად;*
- *რისკების გონივრული მართვა მისოს სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის;*
- *რისკების მართვა მისოს სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობისთვის;*
- *რისკების მართვა მისოს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.*

მნიშვნელოვანი ცვლილებები

2018 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დაადგინა რეზერვირების სავალდებულო წესი. მიუხედავად იმისა, რომ რეზერვირება მისოებისთვის სავალდებულო არ იყო, აღნიშნული რეგულაციის ამოქმედებამდე „ემ ბი სი“ იყენებდა რეზერვირების უფრო კონსერვატიულ მიდგომას, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ახალი რეგულაციით. აგრეთვე, 2018 წლიდან, დაინერგა საკრედიტო ზარალის აღიარების ფასს 9 სტანდარტი.

მიზნები და ამოცანები

კომპანიის უმთავრესი ამოცანაა წარმატებით გადალახოს ახალი რეგულაციები, მოახდინოს პროდუქტებისა და სამუშაო პროცესის ადაპტაცია და შეინარჩუნოს ზრდის მაჩვენებელი.

„ემ ბი სი“ მიისწარაფვის, რომ ბაზარზე დაიმკვიდროს სანდო, გამჭვირვალე და მაღალი სოციალური პასუხუსმგებლობის მქონე კომპანიის სახელი. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ მისი ფინანსური მაჩვენებლები იყოს გამჭვირვალე და საერთაშორისოდ აღიარებული ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი. ამ მიზნით, კომპანია დაარსების დღიდან თანამშრომლობს საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებთან.

გია პეტრიაშვილი
გენერალური დირექტორი

რისკების დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკის შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას და განსაზღვრული რისკის პარამეტრებში კომპანიის ოპერირების მონიტორინგს. გარე და შიდა რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე ხდება პროცედურების შემუშავება რისკების შემცირების მიზნით.

დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილია და ვითარდება შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკების მართვა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- *რისკების გამჭვირვალედ მართვა სანდოობის მოსაპოვებლად;*
- *რისკების გონივრული მართვა მისოს სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის;*
- *რისკების მართვა მისოს სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობისთვის;*
- *რისკების მართვა მისოს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.*

მნიშვნელოვანი ცვლილებები

2018 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დაადგინა რეზერვირების სავალდებულო წესი. მიუხედავად იმისა, რომ რეზერვირება მისოებისთვის სავალდებულო არ იყო, აღნიშნული რეგულაციის ამოქმედებამდე „ემ ბი სი“ იყენებდა რეზერვირების უფრო კონსერვატიულ მიდგომას, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ახალი რეგულაციით. აგრეთვე, 2018 წლიდან, დაინერგა საკრედიტო ზარალის აღიარების ფასს 9 სტანდარტი.

მიზნები და ამოცანები

კომპანიის უმთავრესი ამოცანაა წარმატებით გადალახოს ახალი რეგულაციები, მოახდინოს პროდუქტებისა და სამუშაო პროცესის ადაპტაცია და შეინარჩუნოს ზრდის მაჩვენებელი.

„ემ ბი სი“ მიისწარაფვის, რომ ბაზარზე დაიმკვიდროს სანდო, გამჭვირვალე და მაღალი სოციალური პასუხუსმგებლობის მქონე კომპანიის სახელი. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ მისი ფინანსური მაჩვენებლები იყოს გამჭვირვალე და საერთაშორისოდ აღიარებული ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი. ამ მიზნით, კომპანია დაარსების დღიდან თანამშრომლობს საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებთან.

გია პეტრიაშვილი
გენერალური დირექტორი